საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Райкома Совета народных депутатов

№80 (6306) ხუთშაბათი 5 ივლისი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

რძე, ხორცი: გეგმა გადაჭარბებით

ტვიშის კოლმეურნეობა

ნაყოფიერად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი ტვიშის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა, რომლებმაც შეასრულეს ხორცისა და რძის დამზადების ნახევარწლიური გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 94,7 ცენტნერი ხორცი, 140,8 ცენტნერი რძე, როცა დავალება 90 ცენტნერი ხორცისა და 140 ცენტნერი რძის დამზადებას ითვალისწინებდა.

ამით შექმნეს პირობა მეცხოველეობის პროდუქტების წლიური გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

წიფერჩის კოლმეურნეობა

მიცემული დავალებების შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად არიან ჩაბმული წიფერჩელი მშრომელები, რომლებმაც საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობებიდან სამშობლოს 6 თვეში 100 ცენტნერი ხორცი და 274,6 ცენტნერი რძე დაუმზადეს, რძე გეგმას 4,6 ცენტნერით აღემატება.

წლის ფინიშთან პირნათელი—ასეთია აქაურ მშრომელთა გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

საინფორმაციო ცნობა

1990 წლის 2 ივლისს, დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახალხეში მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

აზრთა გაზიარების შემდეგ დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები—პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

ყრილობამ განიხილა დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და დამატებათა გათვალისწინებით დაამტკიცა იგი შემდეგი სახით:

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ანგარიშები.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სკკპ ბიუჯეტი და ქონება.

სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ".

სკკპ წესდება.

სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულება.

პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციები, განცხადებები და მიმართვები.

შემდეგ დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობდა ნ. ი რიჟკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

შეხვედრა დელეგატებთან

კვირას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს საქართველოს კომპარტიისაგან. შეხვედრაზე სჯა-ბაასი ეხებოდა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განვლილი პლენუმისა და პარტიის XXVIII ყრილობაზე დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის შედეგებს. ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩვენი დელეგატების და, მაშასადამე, საქართველოს მთელი კომპარტიის პოზიცია, დაზუსტდა პრაქტიკული ხასიათის ცალკეული მომენტები. ლაპარაკი იყო მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ, რუსეთის სფსრ, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან დამოუკიდებელი საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარებაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის ძირითადი კონცეფციისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

განიხილა რა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის ძირითადი კონცეფცია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების შემმუშავებელ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიას პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მასობრივ მოძრაობებთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს განსახილველად და მისაღებად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტი.

2. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტს საფუძვლად დაედოს მრავალპარტიული არჩევნები მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების გათვალისწინებით.

3. დაინიშნოს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს, კვირას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 20 ივნისი.

20 ზონა აბრეშუმის პარკისათვის

მოდის პირველი მოსავალი

ფრიად საპასუხისმგებლო პერიოდი დაუდგათ რაიონის მეაბრეშუმეებს, სხვა წლებისაგან განსხვავებით აბრეშუმის პარკის წლევანდელ პირველ მოსავალს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევისათვის, ჯერ ერთი, იმ დეფიციტის აღმოსაფხვრელად, რაც ამჟამად აბრეშუმის ქსოვილებზეა და მეორეს მხრივ ხომ ქართული აბრეშუმი საერთაშორისო ბაზარზე სავალუტო გაცვლის ხელსაყრელი საშუალებაა.

ახმაურდა ცაგერისა და ალპანის პარკსაშრობები, მეაბრეშუმეთა მიერ მოწეული მოსავალი ბარდება სამშობლოს.

რაიონის მოწინავე მეაბრეშუმეთა რიგებს დიდი ხანია ამშვენებს ქვედა ცაგერელი **ციალა კოპალიანი**, რომელმაც ცაგერის პარკსაშრობს 92 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, წლების მანძილზე მოწინავეთა რიგებშია ჩხუტელელი **ნორა მეშველიანი**, რომელმაც 84 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, მისმა თანასოფლელებმა **ნანი მურცხვალაძემ—40** კილოგრამი, **ფოთოლა** და **ნივრა კვირკაშვილებმა**—36-36 კილოგრამი.

პარკსაშრობებში უკვე შემოვიდა პირველი ტონები. ჯერჯერობით ცაგერისა და ალპანის პარკსაშრობებში 2 ტონა აბრეშუმის პარკია მიტანილი.

კრებები პარტიულ ორგანიზაციებში

საფიქრალი ბევრია

საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობას მოუთმენლად ელიან ქართველი კომუნისტები. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან იმდენი პრობლემა დაგვიგროვდა პარტიაში, რომ მათი გადაწყვეტის გარეშე არა თუ წინსვლა, უბრალოდ არსებობაც შეუძლებელია. რა უშველის

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ვინ შეიძლება აცილება მისცეს პარტიული ორგანოს ახალი შემადგენლობის კანდიდატურებს, რომლებიც კომისიამ წინასწარ შეარჩია?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ ახალი ინსტრუქციის თანახმად, კომისიის სახელით პარტიული ორგანოს ახალ შემადგენლობის კანდიდატურების შესახებ წინადადებათა შეტანა არ ზღუდავს კრების მონაწილეთა, დელეგატთა უფლებას წამოაყენონ სხვა კანდიდატურებიც თვით კრების, კონფერენციის, ყრილობის მიმდინარეობისას, აგრეთვე აცილება მისცენ ნებისმიერ შემოთავაზებულ კანდიდატურას.

პარტბიუროს პარტიული სასჯელი დაადო სკკპ წევრს. შეიძლება თუ არა მისი არჩევა ბიუროს შემადგენლობაში?

ასეთ კომუნისტს აქვს სკკპ წესდებით გათვალისწინებული ყველა უფლება, მათ შორის უფლებაც, არჩეულ იქნას პარტბიუროს წევრად. მაგრამ საკითხს, რამდენად მიზანშეწონილია მისი არჩევა ბიუროს შემადგენლობაში, წყვეტს თვით კრება, პიროვნების პოლიტიკური, საქმიანი, მორალური თვისებების და პარტორგანიზაციაში არსებული ვითარების გათვალისწინებით.

როგორ გავიგოთ საწესდებო მოთხოვნა, რომ რეკომენდატორი უნდა იცნობდეს რეკომენდირებულს ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივ მუშაობის არანაკლებ ერთი წლისა?

რეკომენდაციის გასაცემად პარტიის წევრი უნდა იცნობდეს სარეკომენდაციო ამხანაგს არანაკლებ 1 წლის ერთობლივი საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით არა ოდესღაც, არამედ რეკომენდირებულის ცხოვრება-მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში. თუკი არმიიდან დემობილიზებული ამხანაგი რამდენიმე თვიანი საკანდიდატო სტაჟით დაბრუნდა თავის კოლექტივში, პარტიის წევრებს შეუძლიათ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაცია მისცენ მას ერთწლიანი საკანდიდატო სტაჟის შესრულებისთანავე.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ".

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პრობლემებს, როგორ დავდგეთ ეროვნულ პლატფორმაზე, როგორ გავუკვალოთ გზა საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს, რა გზით მივაღწიოთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას—ეს ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს ყრილობამ.

ერთი სიტყვით, საფიქრალი და განსასჯელი ბლომადა გვაქვს. ამიტომაც განსაკუთრებული გულისხმიერებით განიხილავენ დღეს პარტიულ ორგანიზაციებში საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამას და ორგანიზაციულ - სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებას.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგებმა საქმიანად განიხილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი.

კრებაზე ითქვა, რომ დღეს მთავარია დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების აშენება. რაკი ასეა, პროექტში არ უნდა იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ პარტიის მიზანი არის კომუნისტური საზოგადოების აშენება. ეს ისევ და ისევ ერთმმართველი პარტიის ხელოვნურ ავტორიტეტზე მიუთითებს.

-კრებაზე ასეთი აზრიც გამოიკვეთა, რომ არაა მოსაწონი ფორმულირება პარტიიდან თავისუფლად გასვლის თაობაზე. იმას, ვინც გუშინ პარტია თავისი შრომითი ბიოგრაფიისათვის თუ ყოფითი კეთილდღეობისათვის ასე თუ ისე სჭირდებოდა, თავისი მოიწყო, ახლა ასე თავისუფლად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე არ უნდა ჰქონდეს უფლება დატოვოს მისი რიგები.

პროგრამაში გათვალისწინებულია ჰუმანური საზოგადოების აშენება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სოციალიზმის მშენებარე ქვეყანაში დაუშვებელი ხომ არ იქნება კერძო საკუთრების ფორმა?

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პედაგოგები გრძნობდნენ აბსოლუტურ თავისუფლებას. პოლიტიკა უნდა [illegible] სკოლიდან. [illegible] ძალებლობას. [illegible] მა მეტი ცოდნა მისცეს მოსწავლეებს, ახალგაზრდამ კი მეტი იმუშაოს ამა თუ იმ მეცნიერებაში.

ილაპარაკეს, რომ მეტი მონდომებაა საჭირო როგორც სკოლების, ისე რაიონული რგოლის ხელმძღვანელებისაგან კვალიფიციური კადრებით სკოლის დაკომპლექტების საქმეში. სკოლას არ ჰყავს რუსული ენის სპეციალისტი.

კრების მონაწილეებმა ილაპარაკეს სხვა საკითხებზე, სოფლისა თუ სკოლის სატკივარზე.



ბრიანსკის ოლქი. ამ ბოლო დროს გახშირდა სტუმრება დუბროვკაში, სადაც აგრომრეწვის აპარატის ნაცვლად შეიქმნა რწმუნებულთა საბჭო—სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მთავარი მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ორგანო.

დუბროვკელებისათვის აგროსამრეწველო რაიონული აპარატის რეორგანიზაცია გახდა სოფლის მეურნეობის სისტემის წარმოების ორგანიზაციის გარდაქმნის ახალი ეტაპი. დღეს რაიონში წარმატებით მეზობლობენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რგოლები, კოოპერატორთა კავშირები, ოჯახური მოიჯარეები და ცალკეული არენდატორები.

შარშან, როცა დუბროვკელებმა მიიღეს 12 მილიონი მანეთის მოგება, ნათელი გახდა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამკვიდრებული თვითდაფინანსების ფორმები ქმნიან წინააღმდეგობებს რაიონის სოფლის მეურნეობის წარმოების სამმართველოს სტრუქტურასთან. აქ დუბროვკელებმა გამოიყენეს მეზობელი რაიონების გამოცდილება, შედეგად სამმართველოს აპარატის თანამშრომელთა რიცხვი ორმოციდან თოთხმეტ კაცამდე შემცირდა. ეს სპეციალისტები— შემსრულებლები და კონსულტანტები—დაჭირავებული არიან რაიონის მეურნეობათა რწმუნებულები.

სურათზე: სასუქის შეტანა საშემოდგომო ქერის ყანაში. საშემოდგომო ნათესში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სასოფლო პროფკავშირები განახლების გზაზე

ამიერიდან საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკები გაერთიანდებიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირში. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს დარგის მშრომელთა პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე. დამტკიცებულია პროფკავშირის ახალი წესდება და პროგრამა, რომელიც წინამორბედისაგან რადიკალურად განსხვავდება. ახალ წესდებაში მთავარია ის, რომ იგი პროფკავშირის პირველადს ორგანიზაციებს ანიჭებს დამოუკიდებლობის უფლებას, თავიდან აცილებს მათ ყველა ზემდგომი პროფკავშირული ორგანოების დიქტატს.

პროფკავშირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლის სოციალური გარდაქმნა და კეთილმოწყობა. ამ საქმეში ჩვენი რესპუბლიკა საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს, რაც მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარემოს დაცვის საკითხები. მაგრამ პროფკავშირებმა ამ დარგში ჯერ კიდევ საგრძნობლად ვერ გამოიჩინეს თავი. განა ნორმალურია, რომ ზოგიერთი ფერმა უშუალოდ მდინარის პირასაა განლაგებული, საწმენდ ნაგებობებთან? რესპუბლიკის მოსახლეობაში საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს აგრეთვე პესტიციდებითა და ნიტრატებით გაჯერებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები. პროფკავშირები, რომლებიც მშრომელ ადამიანთა უფლებებისა და ინტერესების დამცველია, მოვალენი არიან მუდმივი კონტროლი დააწესონ ბუნების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, იდგნენ ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ეკონომიკის განმტკიცების, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები, აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების სხვა გადაუდებელი საკითხები მუდმივად უნდა იყოს პროფკავშირების ყურადღების ცენტრში. ამ და რიგი სხვა ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს თვისებრივად განახლებული, დროის მოთხოვნილებათა მიხედვით გარდაქმნილი ახალი დამოუკიდებელი პროფკავშირი.

მასწავლებელი ჩვენს გვერდით

ჩვენს გვერდით იმდენი კარგი პიროვნებაა, ჩუმად, უპრეტენზიოდ რომ აკეთებს თავისა თუ საქვეყნო საქმეს, გსიამოვნებს, გიხარია, ასეთები იმედად და ბურჯად რომ შედგომიან სოფელს.

60 წელს მიტანებულია შოთა ხვადაგიანი, ლასხანის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი. მიდის ყოველ ცისმარე დილით სკოლისაკენ ფიქრიანი და მიაქვს პატარებთან ულევი სითბო და სიყვარული, დედა-ენის ანდამატი და სიტკბო. ახლა ჩემი გადასახედიდან უფრო კარგად ვგრძნობ მის შრომა-გარჯას, გაწეულ ამაგს.

ერის სოფელში და...

მაშინ კი, 11 წლის წინათ, პაწია ვიყავი, შოთა მასწავლებელი გაცილებით ახალგაზრდა შოთა მასწავლებელი იყო, მან მოგვცა ამ ცხოვრების საგზალი, გვასწავლა შავისა და თეთრის გარჩევა, ღრმად ჩადო ჩვენში საქართველოს სიყვარული.

შოთა —პროპაგანდისტი, შოთა—სოფლის ჭირისა და ლხინის თანაზიარი, შოთა —თანასოფლელთა გვერდით მომუშავე მშრომელი.

გამოცდილ პედაგოგს საფიქრალი მაინც ბევრი აქვს, სოფლების დაცლა—ეს პროცესი ათეული წლების წინათ დაიწყო და ისე უმართავი გახდა, რომ კატასტროფამდე მივედით. ვინც თითო-ოროლა შემორჩა კაცისა თუ სტიქიისაგან გამწყარალ სოფელს, იმათაც არა აქვთ ელემენტარული ცხოვრების პირობები. სოფლის დაწყებით სკოლაში ახლა რომ ბავშვები სწავლობს, ამდენი ერთ დედასა ჰყავს.

კარგი ოჯახის პატრონია, კარგი მამა და მეუღლე.

დღეს ყოველი ქართველის ოცნებაა თავისუფალი ქარიოული ზეცა. უკეთესს რას ინატრებს კაცი, მაგრამ ჭკუადამდგარ, გამოცდილ კაცს არ ეშლება, რომ რაც უფრო მეტ ოფლს მოვიდენთ, ჩვენ-ჩვენ საქმეს გულიანად გავაკეთებთ, მით უფრო მალე მოვა ნანატრი თავისუფლება.

ამას მხოლოდ სიტყვით არ ქადაგებს. თუ სოფელში ერთი მეურნე ოჯახი იღვწის საქართველოს სასარგებლოდ, ისიც შრომობს, ხილია, ხორცი, ყურძენი თუ სხვა პროდუქტები, ყოველთვის აბარებს სახელმწიფოს.

შ. ყვირილიანი.

30 ივნისს ქართულმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ აღნიშნა დღე ფხიდა მოწამისა შალვასი — მთავრისა ახალციხელისა

ქართველი ერის ისტორიას არაერთი სახელოვანი მამულიშვილის ვინაობა შეგვინახა. მათ შორის გამორჩეული ადგილი ძმებს შალვა და ივანე ახალციხელებს უჭირავთ.

XII-XIII საუკუნეების ცნობილი მხედართმთავრები საქართველოს ძველი ისტორიული ერთეულის—თორის (დღეს ბორჯომის) ხეობის ფეოდალებად იწოდებოდნენ. ისინი მეფეთა-მეფის თამარისა და ლაშა გიორგის მეფობის პერიოდში აღწევდნენ განსაკუთრებული დამსახურებისათვის ერისა და ქვეყნის წინაშე, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ არა მარტო სამეფო კარზე, არამედ მთელ საქართველოში.

ყრმობიდანვე სწორმა ფიზიკურმა, გონებრივმა და ზნეობრივმა აღზრდამ სამაგალითო რაინდებად აქცია ძმები თორელები. განსაცვიფრებელი ფიზიკური მონაცემებით, საარაკო ძალ-ღონით, უმშვენიერესნი და მომხიბლავნი, ბრგე და ახოვანნი, უბადლო მოისარნი, ხმალოსანნი, მოჯირითენი, მობურთალნი, „უშიშნი ვითარცა უხორცონი", უსაზღვროდ შეყვარებულნი მშობლიურ ერზე, სამშობლოზე—ასე წარმოგვიდგებიან სახელოვანი მამულიშვილები შალვა და ივანე თორელები. მეისტორიეს ცნობით, შალვა იყო „მხნე და ძლიერი რაინდობით და მშვილდოსნობით". ასევე ქებას არ იშურებს სახელოვანი რაინდების მიმართ ლაშას მეისტორიეც, რომელიც შალვას შესახებ წერს: „რომელ არ ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი".

შამქორის ომში გამომჟღავნდა შალვას და ივანეს დიდი სამხედრო ნიჭი.

იდგა 1195 წლის 16 ივნისი. ქართველთა მხედრიონს ბრძოლა ჰქონდა მუსულმანური სამყაროს კოალიციასთან, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ათაბაგი აბუ-ბექარი. მოწინააღმდეგეების პირველმა შერკინებამ საქართველოს ჯარის სარდლებს—სპასალარ ზაქარია მხარგრძელსა და მის ძმას ივანეს უპირატესობა ვერ მოუტანა, მაგრამ, როცა საქმეში ქართველთა დამხმარე ძალა ჩაერია დავით სოსლანის, შალვასა და ივანეს მეთაურობით, ქართველების უპირატესობა აშკარა შეიქმნა. გააფთრებული ბრძოლის დროს შალვა სწრაფად დაწინაურდა და ცხენი მტრის შუაგულში შეაგდო, ხმლით და სისხლის ღვრით გაარღვია აბუ-ბექარის ძლიერი დაცვა. გამოიტაცა დროშა, რომელიც, ნიშნად ძლიერებისა, ხალიფამ თავის ურდოებს უწინამძღვრა. ძვირფასი ნადავლი შალვა თორელმა საქართველოში ჩამოიტანა და მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოებზე გამარჯვების ნიშნად მეფეთა-მეფის თამარის ფერხთა წინაშე დააფინა.

1204 წელს ქართველთა ლაშქარმა საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი გადალახა და გაატარა ბრძოლების შემდეგ დალაშქრა ჯერ ხლართი, ხოლო შემდეგ კარი (ყარსი). აღნიშნულ ბრძოლებში, როგორც ყოველთვის, ჯარის ავანგარდში ივანე და შალვა თორელები იყვნენ. ირკვევა, რომ თამარ მეფე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ლაშქრობას, რადგან გამარჯვების შემდეგ თვით თამარი ჩასულა ყარსში და 11 წლის უფლისწული ლაშაც თან წაუყვანია. დამარცხებულებმა ციხე-ქალაქის გასაღები ქართველ უფლისწულს გადასცეს. თამარმა ახლად დაპყრობილი მხარე და მისი ახლომახლო ტერიტორია შალვას ძმას ივანეს ჩააბარა, ხოლო ამ უკანასკნელმა თავისი ერთგულება საქართველოს სამეფო კარისადმი იმით გამოხატა, რომ გასცდა კარის ქვეყანას და უშელავათო ბრძოლებში დაიპყრო აიხენა.

თამარის ხანის სამხედრო ოპერაციათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ბასიანის ბრძოლას, რომელიც შამქორის ომის შემდეგ თავისი მიზნებითა და ამოცანებით ყველაზე უდიდესი და უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ისტორიაში. ბასიანში ერთხელ კიდევ გაიელვა ძმები თორელების დიდმა სამხედრო ნიჭმა და ტალანტმა.

ამის შემდეგ ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის თამარ მეფემ ერისთავთ-ერისთავს შალვას—მეჭურჭლეთ-უხუცესს, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესს, ახალციხის მხარე ჩააბარა და ძმები ახალციხელებად იწოდებოდნენ. ისიც საყურადღებოა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ახალციხე პირველად ბასიანის ომის დროს არის ნახსენები. პროფესორი შ. ლომსაძე წერს: „იხსენიება იგი არა პირდაპირ, არამედ გაგვარებულ საკუთარ სახელად". „ისტორია და აზმანის" ცნობით „წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიც იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე". იმავე ძეგლის ავტორის ცნობით, „ხოლო მეფემან აღიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის, მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთ ამირობა".

ათაბაგობა ახალციხელების გვარის სამკვიდრო უფლებად გადაიქცა. ცოტა უფრო გვიან, გიორგი ბრწყინვალეს დროს და შემდგომ პერიოდში საკუთრივ სამცხეს საათაბაგო ეწოდა.

თამარის ხანაში საქართველოს სამეფო კარს კიდევ ორი ვაზირის თანამდებობა—ათაბაგობა და მსახურთუხუცესობა მიემატა. თუ მსახურთუხუცესი სამეფო სახლის სამსახურსა და სახალხო მეურნეობას განაგებდა, ათაბაგის (მეზობელი თურქული სამყაროდან შემოსული სიტყვა) მოვალეობას ტახტის მემკვიდრის აღზრდა შეადგენდა. თან მისი უახლოესი მრჩეველიც უნდა ყოფილიყო.

„XIII საუკუნის დასაწყისში, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, — მწიგნობართუხუცესს აშკარად დაუპირისპირდა ათაბაგი, რომელმაც ხელმწიფის კარზე პირველობა, თუ კანონით ვერა, რეალურად მაინც წაართვა მას".

დიდი მეცნიერის აზრით, შესაძლებელია ივანე სპასალარსა და შალვა ახალციხელს შორის ქიშპობა პირველობისათვის სწორედ ამ „ათაბაგობის" ნიადაგზე იყო აღმოცენებული. რაც მთავარია, ძმები ახალციხელების დიდი ავტორიტეტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც, სულს უწამლავდა ივანე მხარგრძელს. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, „შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი, ახოვან იყვნენ და წყობათა შინა სახელოვანნი".

როცა თამარი მისმა ძემ ლაშამ შეცვალა, მანდატურთუხუცესი შალვა ახალციხელი ძმასთან, ივანესთან ერთად კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში, ხლათისა და კარნუ-ქალაქის დალაშქვრისას ლაშა გიორგის შალვაც თან ახლდა, ხოლო ცოტა უფრო გვიან შალვა ახალციხელი კეჩროლის დასალაშქრავად გაიგზავნა. მეისტორიეს ცნობით, წავიდა შალვა, „აიღო კეჩროლი მისითა ხრმლითა და ომითა მისათხრობელითა" და ერთიან ქართულ სამეფოს, საერთო სკიპტრას დაუმორჩილა.

1222 წელს მონღოლებისაგან დევნილმა და შევიწროებულმა უიჩაღებმა დარიალის კარი გადმოლახეს და საქართველოს ქვეშევრდომს, შირვანს, შეესივნენ. მათ თაბილა აიღეს, განძამდე მიაღწიეს, სადაც ამირა ქუშხამ მათთან ტკბილად შეხვედრა ამჯობინა და საქართველოს დასალაშქრავად გამოისტუმრა. ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი დამარცხდა მტერთან შერკინებაში და მოულოდნელი გამარჯვებით გათამამებულმა უიჩაღებმა თამამად შეუტიეს საქართველოს საზღვრისპირა მხარეს. საქართველოს სამეფო კარმა ჯარის სპასალარობა ჩააბარა შალვა ახალციხელს, რომელმაც უიჩაღთა ლაშქარს მუსრი გაავლო. ბევრი უიჩაღი ტყვედ ჩავარდა, ვინც გადარჩა, ქილქუნის ბანაკს შეეფარა და ადგილობრივი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას მიჰყო ხელი, საბედნიეროდ, შალვა ახალციხელმა დროზე მიუსწრო გაბოროტებულ უიჩაღებს, განმეორებით დაამარცხა ისინი და კავკასიის ჩრდილოეთისაკენ უკუაქცია. იმ პერიოდში თავრიზის, შირვანის, დარუბანდის ბაზრებზე ტყვე უიჩაღი ჩალის ფასად იყიდებოდა.

წლების მანძილზე ძმები ახალციხელების წარმატებები შურსა და ბოროტებას მატებდა ათაბაგ ივანე მხარგრძელს. ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს სპასალარმა რამდენიმე ბრძოლაში შეირცხვინა თავი, ერთ-ერთ ბრძოლაში კი ტყვედ ჩავარდა. მისი ავტორიტეტი საკმაოდ შეირყა. მეტად სავალალო და საშარცხვინო იყო მომხდარი ამბავი, მაგრამ ფაქტია, რომ ბორკილდადებული საქართველოს სპასალარის დასახსნელად საქართველოს სამეფო კარმა დიდი ოქრო-ვერცხლი გაიღო.

მთელი უბედურება იმაში იყო, რომ უცხო ტომის კაცი, წარმოშობით ქურთი, ივანე მხარგრძელი, უფროს ძმასთან, ზაქარიასთან ერთად, გრიგორიანობას ეზიარა და სპასალარობდა საქართველოს სამეფო კარზე. ეს მაშინ, როცა თამარის და ლაშას ხანის საქართველოში არა ერთი და ორი სახელოვანი მამულიშვილი იყო, რომლებიც ჭკუით, გონებით, მებრძოლი სულით და კომპლექსური რაინდული ღირსებით ყველასაგან გამოირჩეოდა.

რუსუდანის მეფობის პერიოდში საქართველოს სამხრეთ საზღვარს ახალი მტერი მოადგა ხვარაზმის შაჰის ძის ჯალალადდინის მეთაურობით. მას შემდეგ, რაც იგი მონღოლებთან გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა, ირანში გამაგრდა და თავზე ხელაღებულმა თურქმანმა მთელი აზერბაიჯანიც დაიმორჩილა. საქართველოს პირისპირ რომ დადგა, ნიჭიერმა მხედართმთავარმა კარგად იცოდა, თუ რა ძლიერ ფენომენთან ჰქონდა საქმე. ლაშქრობისთვისაც გულდაგულ მოემზადა და 1225 წელს 200.000 კაცით გეზი საქართველოსაკენ აიღო.

სომხეთის ტერიტორიაზე, გარნისის მიდამოებში, შალვა და ივანე ახალციხელები მესხთა მცირე რაზმით დაუხვდნენ მტერს. ძმები მიხვდნენ, რომ რამდენიმე ათასიანი კაცით მტრის დამარცხება შეუძლებელი იყო. ამიტომ დახმარებისათვის მიმართეს ივანე სპასალარს, რომელიც ძირითადი ლაშქრით ბრძოლის ველის შორიახლოს იდგა და თვალყურს ადევნებდა ქართველთა განსაცდელს. კიდევ აფრინა მალემსრბოლი შალვა ახალციხელმა ივანე მხარგრძელთან, მაგრამ სპასალარი დუმდა და ლაშქრობის ბრძანებას არ იძლეოდა. გააფთრებით იბრძოდნენ ძმები ახალციხელები, ცხენებიც მოუკლეს, თუმცა არც უკან დახევა უფიქრიათ მათ, „არღარა როდეს სიმრავლეს სულტნისა სპათასა და ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს"... და იქნეს ძლიერი ომნი". გააფთრებულ-გაცოფებულ ძმებს ახალციხელებს სიკვდილის აჩრდილი თავზე დასტრიალებდა, მაგრამ ფეხს არ იცვლიდნენ. თანდათან თხელდებოდა ქართველთა რიგები, ისტორიამ შემოგვინახა ამ ბრძოლის აღწერის ერთი ნაწყვეტი:

შალვა ჩამოხტა შავსა გრილოსა,
ომი მოგვიხდა, ომი, რა ომი!
ლეშის ნაკუწი ხორად დგებოდა,
სისხლის ნაღვარი ცას ერეოდა,
შუბის ნამტვრევი ცასა ხვდებოდა...

უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა მესხთა ლაშქარი.

ძმები ახალციხელები ადრევე მიხვდნენ, რომ ურიცხვ მტერთან ბრძოლაში დამარცხება გარდაუვალი იყო, ისინი კარგად ხედავდნენ, თუ თანდათან ირგვლივ როგორ აკლდებოდა რჩეული ვაჟკაცები. შალვას და ივანეს მუზარადები—დაეძსხვრა. შუბები აღარ შერჩათ მთელი გარნისის კლდეებში ზემოდან დაშვებულმა უზარმაზარმა ქვის ლოდმა თან ჩაიტანა ივანე ახალციხელი, როცა მტრის გარემოცვაში მყოფმა შალვამ წინააღმდეგობა შეწყვიტა, მას ხელში მხოლოდ ხმლის ვადა შერჩენოდა.

საქართველოს სპასალარი ივანე ათაბაგი კი, ქართველთა ძირითადი ძალებით ხმლის დაუძვრელად გაშორდა ბრძოლის ველს, და ბიჯნისს ჩაიკეტა. შეპყრობილი და ბორკილდადებული ქართველთა გმირი გამარჯვებით აღტაცებულ ჯალალ-ადდინს წარუდგინეს, სულთანი მოუხიბლავს შალვას ვაჟკაცობასა და ახოვნებას. დაფიქრებული ათვალიერებდა გულმხურვალე მამულიშვილს. შემდეგ კი დიდი პატივით მიუღია ტყვე.

სულთანი ყოველნაირად ცდილობდა ქართველი რაინდის გადაბირებას. სამმართველოდ გადასცა ადარბადაგანის მთავარი ქალაქები—მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ.

ღირსეული მამულიშვილის მთელი გულისყური საქართველოსაკენ იყო მიპყრობილი, მასზე ფიქრი და ოცნება მოსვენებას უკარგავდა. თვითონაც კარგად ხვდებოდა მზაკვრულ ზრახვებს, ჯალალ-ად-დინისას.

მას შემდეგ, რაც 1225 წელს ჯალალ-ად-დინმა დვინო აიღო და განსაკუთრებული სისასტიკით ჩაახშო თავრიზის აჯანყება, გეზი საქართველოსაკენ წარმართა, მდინარე არაქსის ხეობაში, შესვენებისას, ხვარაზმიდან დევნილს შეატყობინეს, შალვა ახალციხელი, საიდუმლო წერილებს აგზავნის საქართველოში და ჩვენს ყოველ მოძრაობას ქართველობას ატყობინებსო.

უსაზღვრო იყო რისხვა და გაბოროტება ჯალალ-ად-დინისა, რთული და უმძიმესი ამოცანის წინაშე დადგა ქართველი რაინდი: ან რჯულის შეცვლა, აღზევება და წინსვლა, ან სიცოცხლის დასასრული და შავბნელი სიკვდილი. გმირ მამულიშვილს წუთითაც არ შერყეულა რწმენა და სრულიად შეგნებულად, ქრისტიანმა თავი დადო სამსხვერპლოზე.

ჯალათის მძიმე მახვილმა ერთი დაკვრით სიცოცხლე მოუსპო გულმხურვალე მამულიშვილს.

მას შემდეგ 765 წელი გავიდა, მაგრამ შალვა ახალციხელის სახელი მკვიდრად შერჩა ერის ისტორიას, ქართულმა ეკლესიამ შალვა ახალციხელი წმინდანად შერაცხა. ქართულმა ხალხურმა მრავალსაუკუნოვანმა პოეზიამ რამდენიმე ვარიანტად შემოგვინახა შალვა ახალციხელისადმი მიძღვნილი საგმირო-პატრიოტული სიმღერა.

დღეს გამოღვიძებული და გამოფხიზლებული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერი ომახიანად მღერის „შალეგოს". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ გმირებს—დავიწყება არ უწერიათ.

ზურაბ ჯავახაძე.

შ ა ვ ლ ე გ ო

რეგიონული ბიბლიოთეკა

აბონენტმა კმაყოფილმა რომ გვყავდეს

25 ᲬᲔᲚᲘᲐ რაც ჩვენს რაიონში ცისფერი ალი ანთია. ამ დიდად სასარგებლო საწვავმა კარგა ხანია დაამტკიცა თავისი უპირატესობა იმ სათბობ მასალებთან შედარებით, რომლებსაც ყოფაცხოვრებაში ვიყენებთ.

სამმართველოს თვითდაფინანსების ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში: 27 ლიტრიანი თხევადი გაზის ბალონების ექსპლუატაციის ვადა 15 წელია. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბალონები პრაქტიკულად შემდგომი ექსპლოატაციისათვის უვარგისია. დღიდან „ცაგერირაიგაზის“ არსებობისა ამ ბალონების შეცვლა ხდებოდა სამმართველოს მიერ, რაც საბოლოოდ სამმართველოს ფინანსურ მხარეს მძიმე ტვირთად დაწვა.

დღეისათვის ჩვენი სამმართველო მომსახურებას უწევს 6400 აბონენტს, აქედან თითოეული აბონენტის მფლობელობაშია არა ნაკლებ 3 ბალონისა, რაც მთლიან გამოხატულებაში შეადგენს 19200 ბალონს და რომლის შეცვლა სამმართველოს ძალებს აღემატება. ამას ემატება ისიც, რომ დღემდე რაიონის კომუნალურ ორგანიზაციებს, რომლებსაც მომსახურებას უწევს „ცაგერირაიგაზის“ სამმართველო, არ მოუხდენიათ მომსახურებისა და ბალონების შეცვლის თანხების ჩამორიცხვა. აღნიშნული თანხა შეადგენს: მომსახურების—10 მანეთი და 57 კაპიკი თვეში, ხოლო ბალონების ამორტიზაციის—წელიწადში 1 ბალონზე—3 მანეთი.

მოსახლეობის პროფილაქტიკური მომსახურება, რომელიც ტარდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, დღემდე ხდებოდა ფასგადახდის გარეშე. სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედვით თითოეული აბონენტი ვალდებულია პროფილაქტიკური შემოწმების დროს ზეინკალს ხელზე გადაუხადოს 0,94 კაპიკი, სპეციალური ქვითრის ამოწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თხევადი გაზის მომხმარებლებმა (აბონენტებმა) უნდა გადაიხადონ თითოეულ ბალონზე ცვეთის ღირებულება 3 მანეთის ოდენობით, რათა სამმართველოს მიეცეს შესაძლებლობა დროულად მოახდინოს ამორტიზებული ბალონების შეცვლა ახლით.

აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს აბონენტის მიერ „ცაგერირაიგაზის“ სამმართველოს სალაროში ან უშუალოდ სამმართველოს წარმომადგენლებთან ხელზე სპეციალური ქვითრის ამოწერით. თანხის გადახდის უკანასკნელი ვადა არის მიმდინარე წლის 1 აგვისტო. აბონენტებს, რომლებიც არ გადაიხდიან თანხას, შეუწყდებათ გაზით მომსახურება.

ყოველგვარი გაურკვევლობის შემთხვევაში გთხოვთ მიაკითხოთ ცაგერირაიგაზის სამმართველოს ან დარეკოთ ტელეფონით: 23-04

„ცაგერირაიგაზის“ სამმართველო თავის მხრივ სრულ გარანტიას გაძლევთ, რომ დროულად და შეუფერხებლად მოახდენს ბალონების შეცვლას და აამაღლებს მომსახურების დონეს.

თ. ჩაკვეტაძე.
ცაგერირაიგზის სამმართველოს უფროსი.

მოგწონთ აუქციონით ვაჭრობა?

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს ბრძანების თანახმად ერთობლივად შემოდის პრაქტიკაში გადიდებული მოთხოვნილების საქონლის აუქციონით ვაჭრობა. რა შედის ამ საქონლის ნუსხაში?

—პირველ რიგში,—ამ ბობს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის განყოფილების გამგე ვახტანგ ჩოგოვაძე,—იმპორტული საქონელი, როგორიცაა: ავტომობილი, კომპიუტერები, თანამედროვე წარმოების ვიდეომაგნიტოფონები, სამამულო მიკროტალღური ღუმელები, 5 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საიუველირო ნაწარმი, ანტიკვარიატი, მაღალმხატვრული ნაკეთობანი და სხვა.

ამგვარად, ჩვენს ცხოვრებაში იჭრება აუქციონით ვაჭრობა. კარგია ეს თუ ცუდი? ბევრ რიგით მომხმარებელს, ვისაც ჯიბე კუპიურებით არ აქვს დამძიმებული, ვაჭრობის ასეთი ფორმა, რასაკვირველია, არ მოეწონება. მაგრამ შევხედოთ საგნებს სალი თვალით, შეუძლიათ თუ არა საშუალო შემძლების ადამიანებს მანქანის ყიდვა ან, ვთქვათ, თუნდაც კომპიუტერისა, სახელმწიფო ფასებში? არა გვგონია. ხოლო იმათ კი, ვისაც ფული აქვს, დაე ხარჯონ იგი, მხოლოდ არა შავ ბაზარზე. ამგვარად სახელმწიფო მიმოქცევაში ჩაუშვებს დაგროვილის ნაწილს, რომელიც უმოქმედო ტვირთად დევს „მუთაქებში“ და მეტად უარყოფით გავლენას ახდენს სამომხმარებლო ბაზრის სიტუაციაზე.

(საქინფორმი).

ᲬᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲛᲐᲓᲕᲘᲜᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ
ᲒᲔᲠᲓᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲕᲘᲠᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ

გილოცავთ დაბადების დღეს. დალოცვილი და ხანგრძლივი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების გზა. სიხარული და ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთ კეთილის მსურველებთან ერთად.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის და რაიონული სტამბის კოლექტივი.

ᲛᲐᲘᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲛᲣᲨᲙᲣᲓᲘᲐᲜᲡ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲯᲣᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲖᲝᲒᲐᲕᲐᲡ

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. საქართველოს ნამდვილი მამულიშვილი გაზრდილიყოს. მრავალ პატარას აეხმიანებინოს თქვენი ფუძე-ჭერი.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს ტერიტორიაზე გახსნილია ჩამომსხმელი მინერალური წყლების „ძუღურისა“ და „ლაშიჭალის“ სარეალიზაციო პუნქტი. მოქალაქეებს შეუძლიათ შეუფერხებლად შეისყიდონ მინერალური წყლები ტარის დაბრუნებით.

ცაგერის საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმო.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნ. ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ.

შვილები ციალა, ლამარა, დედამამიშვილები საშა, რუბენი, რძალი ნანული გუგავა, მულები თამარი, მარო, რძლები თამარი, ონტო, მარგალიტა, შვილიშვილები ელგუჯა, გია, თემური, აკაკი, კობა, ინგა, ირმა, ფატი, ირინე, თამილა, სიძეები ომარ ქარულაევი, ჯემალ კუპატაძე, ბუჭუ ფუტკარაძე, ოთარ ლიპარტელიანი, შოთა შკუბულიანი, მაზლიშვილები ნელი, კლავდია, ლეილა, რაისა, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲔᲚᲠᲘᲢᲝ ᲘᲚᲘᲙᲝᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲚᲔᲗᲝᲓᲘᲐᲜᲘ

დაკრძალვა 8 ივლისს, კვირას, ქ. ცაგერში.

ამირან ჩახულიანი, იაშა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნაზი ყვირილიანს მამის

ᲰᲘᲰᲘᲙᲝ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

კობა კოპალიანი, ბესიკ ჯანელიძე, სოზარ ბენდელიანი, ვალერიან ცხვედიანი, ჯემალ მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი.

უახლოესი მეზობლები გელა ხვადაგიანი, კუსია, ემზარ მდივნები, ოთარ ხაბულიანი, თამაზ ჩაკვეტაძე, კარლო ყვირილიანი, სეით ყურაშვილი, იური საღინაძე, თემურ ფალავანდიშვილი, ირეოდი ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თალიკო ყურაშვილი, შვილები ქეთინო, მანანა, შვილიშვილი ნანა ახვლედიანი, დები ლოლა, ლენა, სიძეები მურმან, იაშა ახვლედიანები, ამირან ჩახულიანი, ვალერი კვერნაძე, დისშვილები დათო, ირაკლი, ზოია ჩახულიანები, ბადრი, სოსო, რამაზ ახვლედიანები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი.

დაკრძალვა 7 ივლისს, შაბათს, ქ. ცაგერში.

გელა, ბახვა, ქორა, დათა, აქვსენტ, ჯიმშერ, თენგული,, თემურ, მურთაზ, ბუჭუ, რადიონ, დავით, ლადო, ბესიკ, მამუკა კოპალიანები, ჯუმბერ, გიზო, გივი საღინაძეები, ლერი იმნაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ტატიანა გიორგაძეს ძმის

ᲨᲝᲗᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲡ

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთინო კოპალიანს მამის

შალვა აბელის ძე კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ბუჭუ ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შალვა კოპალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ტვიშის სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის აპარატისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი და თამარ ასათიანებს მამიდის

მარო კონსტანტინეს ასული ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ მარინე და რეზო მახარობლიძეებს სიძის

დავით დავითის ძე ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ მანანა კოპალიანს მამის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა აბელის ძე კოპალიანი.

თანაკლასელები თანაუგრძნობენ როსტომ საღინაძეს მამის

გალაქტიონ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანიჭა საღინაძეს ბიძის

გალაქტიონ ლავრენტის ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები კაკო, დიმიტრი, ჯემერ, ვალიკო მურცხვალაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ ლავრენტის ძე საღინაძე

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები და მექანიზატორთა რგოლი თანაუგრძნობენ აკაკი და როსტომ საღინაძეებს ბიძის და მამის

გალაქტიონ ლავრენტის ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

სარაიონო კულტურის სახლისა და ცენტრალიზებული ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა კოპალიანს მამის

შალვა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37
განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ ᲛᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ტირაჟი ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ

საქართველოს სსრ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა,